ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2752319

ნომერი: AR1418500

თარიღი : 01.07.2016

გაცემის თარიღი : 01.08.2016

გაცნობის თარიღი : 02.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ადამ მიცკევიჩი , N 27გ ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვაჟა ნადირაშვილი პ/ნ 01024035369
- ბახტრიონის ქ.#13

ორგანიზაცია:
- ამხანაგობა ,,საბურთალო 2006" კოდი: 205243823

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 16.08.2006 წ. #ნ-1/31 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 01.07.2016 წ. #AR1418500 განცხადებით მომართა ვაჟა ნადირაშვილმა და მოითხოვა 16.08.2006 წ. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #ნ-1/31 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 16.08.2006 წელს ქალაქ თბილისში, ალ. ყაზბეგისა და მიცკევიჩის ქუჩას შორის არსებულ საკადასტრო ერთეულზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დადგინდა #ნ-1/31 ქალაქთმშენებლობითი პირობები. აქტი გაცემულ იქნა #01.10.14.015.031 (საერთო ფართობით 3390 კვ.მ.) საკადასტრო ერთეულზე. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.06.2012 წ. #229246 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში, კერძოდ პირობებში დაფიქსირდა ახალი საკადასტრო მონაცემები.
განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის #882016209782), რომლის თანახმადაც შეცვლილია მხოლოდ საკადასტრო ერთეულის კონფიგურაცია. განმცხადებელი ასევე ითხოვს აღნიშნულ პირობებში ცვლილების შეტანას ახალი საპროექტო ობიექტის დაფიქსირებასთან დაკავშირებით, კერძოდ: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისა და #5/1 შენობის რეკონსტრუქციის (დამხმარე) დაფიქსირებას.
“მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის თანახმად იმ ობიექტებზე, რომელთა მიმართაც ამ დადგენილების ძალაში შესვლამდე დაწყებულია მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცედურა ან გაცემულია მშენებლობის ნებართვა, მაგრამ შენობა-ნაგებობა არ არის ვარგისად აღიარებული, გავრცელდება განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობა. 16.08.2006 წ. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის #ნ-1/31 ქალაქთმშენებლობით პირობები გაცემულია “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების საფუძველზე, რომლის თანახმადაც ქალაქთმშენებლობით პირობებში უნდა აისახოს საკადასტრო ერთეულის ცვლილებები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ნაწარმოებია სამშენებლო სამუშაოები, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქთმშენებლობით პირობებში შეიტანოს ცვლილება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 99-ე მუხლის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ~ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილებისა და ,,ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურისათვის ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ცვლილებების და დამატებების შეტანის, შეცდომის გასწორების, მათი ბათილად ცნობის, ძალადაკარგულად გამოცხადებისა და არარად აღიარების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე’’ ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 16.08.2006 წ. #ნ-1/31 ქალაქთმშენებლობით პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის #882016209782);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 16.08.2006 წ. #ნ-1/31 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტის ფუნქციად დაფიქსირდეს: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი და #5/1 შენობის რეკონსტრუქცია (დამხმარე);
3. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 16.08.2006 წ. #ნ-1/31 ქალაქთმშენებლობით პირობებს დაემატოს შენიშვნა: #5/1 შენობის რეკონსტრუქციისას დაცული იქნას საკადასტრო გეგმაზე დატანილი სერვიტუტი;
4. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 16.08.2006 წ. #ნ-1/31 ქალაქთმშენებლობით პირობებს დაემატოს:

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის ოქმი #ო-311 (13.07.2016წ.) (იხ.დანართი)

5. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 16.08.2006 წ. #ნ-1/31 ქალაქთმშენებლობით პირობებთან და ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ

თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.06.2012 წ. #229246 ბრძანებასთან ერთად;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.